განმარტებითი ბარათი
„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებებზე ქონებრივი უფლებების მართვის სისტემის განვითარებას და ისეთი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური მექანიზმის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებასა და საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების უფლებების ეფექტიან აღსრულებას.

1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც შემუშავებულ იქნა ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონი მეტწილად თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის, საქართველოსათვის სავალდებულო საერთაშორისო შეთანხმებებთან: ბერნის კონვენციასთან, TRIP-ის შეთანხმებასთან, საავტორო უფლების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება (WCT) და შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულებასთან (WPPT), რიგ შემთვევებში, კანონის მოქმედი რედაქცია ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს, რაც აფერხებს დარგის განვითარებას და ზიანს აყენებს უფლებების მფლობელების ინტერესებს. აღნიშნული, ასევე, დასტურდება საქპატენტის მიერ ა(ა)იპ საავტორო უფლებათა ასოციაციის 2021-2022 წლებში განხორციელებული საქმიანობის აუდიტორული მომსახურების შესყიდვის (რომლის მიზანს წარმოადგენდა ავტორთა ქონებრივი უფლებების მართვის სფეროში, მათ შორის ჰონორარების შეგროვებისა და განაწილების პროცესებში არსებული მდგომარეობის, ასევე, სხვა გამოწვევების იდენტიფიცირება) საფუძველზე, 2023 წლის 28 აპრილის გაცემული მარწმუნებელი ანგარიშით, რომლის თანახმადაც ა(ა)იპ საავტორო უფლებათა ასოციაციის საქმიანობაში არაერთი ხარვეზი და ნაკლოვანება იქნა გამოვლენილი.

სხვა რიგ გამოწვევებთან ერთად, რომელთა გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი, უმთავრესია საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სათანადო დაცვის უზრუნველყოფისთვის.

2012 წლამდე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 17 თებერვლის №316 ბრძანების საფუძველზე კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის რეგისტრაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა საქპატენტის დადებითი დასკვნის გაცემა. ხსენებული ბრძანება ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 18 ივნისის №103 ბრძანებით. რის შემდეგაც აღნიშნული საკითხი სხვა საკანონმდებლო აქტით არ დარეგულირებულა. დღეს არსებული მდგომარეობით, საქპატენტის 2005 წლის 2 დეკემბრის №01-06/450 წერილით გაიცა

ორგანიზაციის რეგისტრაციისათვის სავალდებულოდ წარსადგენი დადებითი დასკვნა ერთი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტი უშვებს შესაძლებლობას, შეიქმნას სხვა კოლექტიური მართვის ორგანიზაციები, უფლებების ან უფლებათა მფლობელების სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით ან/და ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ უფლებათა ერთი კატეგორიის მფლობელთა სხვადასხვა უფლებას, სხვა კოლექტიური მართვის ორგანიზაციის შექმნა და არსებობა დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან, რაც გამოწვეულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ქონებრივ უფლებათა კოლექტიურ საფუძველზე მართვასთან დაკავშირებული დებულებების არასრულყოფილებასთან რაც საბოლოო ჯამში ზიანს აყენებს როგორც უფლების მფლობელებს, ასევე, მოსარგებლეებსა და მთლიანად სისტემას.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) 2022 წლის 17 ოქტომბრის დასკვნის მიხედვით გამოიკვეთა კანონმდებლობასთან დაკავშირებული გარკვეული ნაკლოვანებები, რომლებიც ქმნიდა პრობლემას არსებულ რეალობაში. კვლევის მიხედვით გამოიკვეთა გამოწვევები, რომელთა წინაშეც იდგა ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის სფერო, კერძოდ, კოლექტიური მართვის ორგანიზაციის აკრედიტაციისა და აკრედიტაციისათვის საჭირო კრიტერიუმების არარსებობა, ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული უზუსტობა, ორაზროვნება კოლექტიური მართვის ორგანიზაციების რაოდენობასა და უფლებათა მართვის კატეგორიებთან დაკავშირებით, ჰონორარის შეგროვებისა და განაწილების სისტემის ხარვეზები და კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობის კრიტერიუმებისა და საქმიანობის კონტროლის მექანიზმების არარსებობა.

შესაბამისად, კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს სამართლებრივად დაარეგულიროს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა კოლექტიურ საფუძველზე მართვის საკითხი, აღმოფხვრას კოლექტიური მართვის ორგანიზაციის შექმნასა და მათ რაოდენობასთან დაკავშირებული ბუნდოვანება, განსაზღვროს ცხადი და ნათელი კრიტერიუმები კოლექტიური მართვის ორგანიზაციის აკრედიტაციისთვის, კოლექტიური მართვის ორგნანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნვლყოფის მიზნით განსაზღვროს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობის ვალდებულება, განსაზღვრის უფლების მფლობელებისა და მოსარგებლეების უფლებები და ვალდებულებები უფლებათა მართვის პროცესში, ასევე კოლექტიური მართვის ორგანიზაციის უფლებების და ვალდებულებები.

ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, კანონპროექტი მიზნად ისახავს ევრო პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/26/EU და 2019 წლის 17 აპრილის (EU) 2019/790 დირექტივებთან და შესაბამისად, ევროკავშირში არსებული კოლექტიური მართვის სისტემასთან ჰარმონიზებას.

ამასთანავე, პროექტის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიური

საფუძველზე მართვასთან დაკავშირებით.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საავტორო და მომიჯნავე უფლებების და ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარება, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომელიც ასევე, წარმოადგენს „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) მნიშვნელოვან საკითხს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მომზადდა კვლევა, რომელიც შეიცავს რეალობაში არსებულ პრობლემათა აღმოსაფხვრელ რეკომენდაციათა პაკეტს. აღნიშნული პაკეტი შემუშავდა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით.

ვინაიდან არსებული კანონმდებლობა კოლექტიური მართვის სფეროში სრულად ვერ პასუხობს დარგში არსებულ გამოწვევებს, მათი გადაჭრის მიზნით ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა, მიღებულ იქნა არაერთი კონსულტაცია და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარდა კვლევა. რომელთა საბოლოო გამოხატულებასაც წარმოადგენს წინამდებარე ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), საქართველლოს პარლამენტის კულტურის კომიტეტსა და ინტელექტუალური საკუთრების საკითხებით დაინტერესებულ სხვა მხარეებთან, მათ შორის ინტელექტულური საკუთრების ექსპერტებსა და კოლექტიური მართვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან წინასწარი კონსულტაციებისა და კვლევის შემდეგ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე და მიზნად ისახავს საქართველოში საავტორო უფლებების კოლექტიური მართვის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებას.

საავტორო და მომიჯნავე უფლებები ეფექტური ინსტრუმენტია, რომელიც ემსახურება ადამიანის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებასა და მაღალი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, რისთვისაც უმნიშვნელოვანესია, რომ სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი იყოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროს მარეგულირებელი სათანადო და ევროკავშირთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა. კანონის მოქმედი რედაქცია ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს, რაც აფერხებს და შეუძლებელს ხდის სისტემის განვითარებას. ამავდროულად, საერთაშორისო შეთანხმებებში განხორციელებული ცვლილებებისა და ევროკავშირში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, ასევე, ევროკავშირის კოლექტიური მართვის სისტემის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების განხორციელება და კანონპროექტის მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში აისახოს რეკომენდაციებში ასახული პოზიციები და სამუშაო შეხვედრების შედეგად შეჯერებული პოზიციები, რათა მოხდეს საქართველოში საავტორო და

მომიჯნავე უფლებათა კოლექტიურ საფუძველზე მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება, საქართველოს საავტორო და მოიჯნავე უფლებათა კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა და დაახლოება ევროკავშირის ქვეყნების კოლექტიური მართვის კანონმდებლობასთან.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით დაიხვეწება და მეტად ჰარმონიზებული იქნება ქართული კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან, გასწორდება ხარვეზები კანონმდებლობაში, უზრუნველყოფილი იქნება ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის სრულფასოვანი საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის გამართულ ფუნქციონირებას და აღადგენს მომხმარებელთა და უფლების მფლობელთა ნდობას სისტემის მიმართ.

შესაბამისად, კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგია ისეთი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური მექანიზის შექმნა, რომელიც გააძლიერებს საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში კონტროლის სისტემას და შესაძლებელს გახდის ყველა იმ სარგებლის მიღებას, რაც დაკავშირებულია სისტემის გამართულ ფუნქციონირებასთან.

ცვლილებების შედეგად დაინერგება კოლექტიური მართვის ორგანიზაციის აკრედიტაციის, მისი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველმყოფი, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ახლებური მექანიზმი, ჰონორარის სამართლიანი განაწილებისა და ტარიფების დადგენის პრინციპები, რაც ხელს შეუწყობს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების უფლებათა ეფექტურ და ეფექტიან განხორციელებას ქონებრივ უფლებათა კოლექტიური მართვის სფეროში.

კერძოდ, კანონპროექტის მიღების შედეგად, დეტალურად გაიწერება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის შექმნის წესები და პირობები, ასევე, მისი რეგისტრაციისა და აკრედიტაციის წესები და პირობები, განისაზღვრება აკრედიტაციის მინიჭებაზე უფლებამოსილი ორგანო და კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ფუნქციები, უფლებები და ვალდებულებები. ასევე, კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ვალდებულება ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის წარმოებისა და საჯაროდ ხელმისაწვდომობის თაობაზე.

გაიწერება კოლექტიური მართვის ორგანიზაციის წევრობის წესები, კოლექტიური მართვის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები, საქმიანობის მარეგულირებელი წესები და ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები, ასევე, დარეგულირდება კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობის კონტროლი და მის მიერ უფლებამოსილებათა არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროეტით შეიცვალა კანონის 63-ე მუხლის შინაარსი, რომელიც არეგულირებს

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის შექმნას, ახლებურად განისაზღვრა, რომ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორებს, შემსრულებლებს, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელებს (შემდგომში - უფლების მფლობელი) საკუთარი ქონებრივი უფლებების კოლექტიურად მართვის მიზნით შეუძლიათ შექმნან კოლექტიური მართვის ორგანიზაცია. აღნიშნული მუხლით განისაზღვრა ერთი უფლების ან უფლებათა კატეგორიის მიმართ მხოლოდ ერთი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის არსებობის დაშვება. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მოსაპოვებლად კოლექტიური მართვის ორგანიზაცია საჭიროებს აკრედიტაციას, რომელსაც გასცემს სპეციალურად შექმნილი აკრედიტციის კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიიან საქართველოს მთვარობისა და პარლამენტის წარმომადენლები, ასევე, საქპატენტის თავმჯდომარე.

კანონის 63[1] მუხლი, რომელიც არეგულირებდა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობის საჯაროობას, ამოღებულ იქნა და აღნიშნული საკითხი დეტალურად დარეგულირდა 66[11] მუხლით, რომელიც შეეხება კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის წარმოებას და მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა კანონის 64-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციისათვის აკრედიტაციის მინიჭების კრიტერიუმებსა და პროცედურას. ჩამოყალიბდა აკრედიტაციის მოპოვებისთვის აუცილებელი კრიტერიუმები.

აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, აკრედიტაციის მოპოვებაზე განაცხადით, ასევე, უნდა დასტურდებოდეს ორგანიზაციის სათანადოობა და საკმარისად წარმომადგენლობითობა ქონებრივ უფლებათა მართვის მიზნებისთვის. ამავე მუხლით გაიწერა, რომ წესდება, შიდა რეგულაციები და ჰონორარების განაწილების წესები და პრინციპები, უნდა იძლეოდეს თანაბარი და არადისკრიმინაციული მოპყრობის გარანტიას, როგორც უფლებათა მფლობელების, ისე მოსარგებლეთა მიმართ.

შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა კანონის 65-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის შექმნის წესს, მის შემადგენლობას, სამდივნოს ფორმირებასა და საქმიანობის ზოგად პრინციპებს. კერძოდ, კოლექტიური მართვის ორგანიზაციას აკრედიტაციას ანიჭებს საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისია.

კანონს დაემატა მუხლი 66, რომლითაც ამომწურავად გაიწერა კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ფუნქციები, უფლებები და ვალდებულებები, რითაც უზრუნველყოფილია უფლების მფლობელთა უფლებების ჯეროვანი განხორციელება. გაიწერა კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ვალდებულება საქმიანობა განახორციელოს იმ უფლებათა მფლობელების ინტერესების შესაბამისად, რომლებსაც ეს ორგანიზაცია წარმოადგენს.

კანონს დაემატა 66[1] მუხლი, რომელიც შეეხება კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ვალდებულებას უფლების მფლობელს მიაწოდოს ინფორმაცია თანხების მიზნობრივი დაქვითვების შესახებ, ასევე, განისაზღვრა, რომ მიზნობრივი დაქვითვა უნდა განხორციელდეს ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე და არ უნდა აღემატებოდეს

დასაბუთებულ და დოკუმენტირებულ ხარჯებს, რომლებსაც კოლექტიური მართვის ორგანიზაცია გასწევს საავტორო და მომიჯნავე უფლებების მართვისას.

ვინაიდან, კანონის არსებული რედაქცია ვერ უზრუნველყოფს კოლექტიური მართვის ორგანიზაციების მიერ ჰონორარის სისტემის გამართულობასა და უფლების მფლობელთა და მოსარგებლეთა თანასწორუფლებიანობას, კანონპროექტით კანონს ემატება მუხლი 66[2], რომელიც აწერიგებს ჰონორარების შეგროვებისა და განაწილების წესებს.

კანონს დაემატა მუხლი 66[3], გადახდებს ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულია კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ შეგროვებული ჰონორარის სხვა ქვეყნის კოლექტიური მართვის ორგანიზაციებისათვისა და სხვა ქვეყნის კოლექტიური მართვის ორგანიზაციების მიერ შეგროვებული და გადმორიცხული ჰონორარის განაწილების წესები.

კანონს დაემატა მუხლი 66[4], რომელიც აწესრიგებს უფლებების მფლობელთა გარანტიებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციასთან მიმართებაში. ასევე, დაემატა უფლების მფლობელების მიერ კოლექტიური მართვის ორგანიზაციის სამართავი უფლებების სიიდან საკუთარი უფლებების ამორიცხვის მექნიზმი და უფლებების უცხოური კოლექტიური მართვის ორგანიზაციისთვის მინდობის უფლებამოსილება. კანონპროექტის 66[5] მუხლით დარეგულირებულია მოსარგებლეთა უფლებები და ვალდებულებები, რაც კანონის არსებული რედაქციით არ არის გათვალისწინებული, ასევე ლიცენზიის გაცემის წესები და პირობები.

კანონს ემატება მუხლი 66[6], რომელიც შესაბამისობაშია ევროპარლამენტისა და საბჭოს №2014/26/EU დირექტივასთან და არეგულირებს ტარიფების დადგენის წესს და განსაზღვრავს უფლების მფლობელის უფლებას მისი უფლებების გამოყენებისთვის მიიღოს შესაბამისი ჰონორარი, რომლის ოდენობას კოლექტიური მართვის ორგანიზაცია მოსარგებლესთან ათანხმებს. განისაზღვრა, რომ თუ კოლექტიური მართვის ორგანიზაცია და მოსარგებლე ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ჰონორარის ოდენობასთან დაკავშირებით, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესს განსაზღვრავს საქპატენტის თავჯდომარის ბრძანებით შექმნილი კომისია, ერთ-ერთი მხარის ან მხარეების მიმართვის საფუძველზე.

კანონს ემატება 66[7] მუხლი, რომლითაც დარეგულირებულია კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ვალდებულება უფლების მფლობელებისთვის მათი უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

კანონს ემატება 66[8] მუხლი, რომელიც არეგულირებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ვალდებულებას სხვა კოლექტიური მართვის ორგანიზაციებისთვის წარმომადგენლობითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხს.

კანონს ემატება 66[9] მუხლი, რომელიც არეგულირებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ვალდებულებას ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების მხარის, უფლების მფლობელის ან მოსარგებლის სათანადოდ დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით დაუყოვნებლივ მიაწოდოს მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია.

კანონს ემატება 66[10] მუხლი, რომელიც არეგულირებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ საკუთარ ვებ-გვერდზე ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობის ვალდებულებას და ჩამოთვლის იმ ინფორმაციის მინუმუმს, რომელთა საჯაროდ ხელმისაწვდომობაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი და მუდმივად განახლებული კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ.

კანონს ემატება 66[11] მუხლი, რომელიც აწესრიგებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ვალდებულებას მისი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის წარმოებისა და მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე. ამომწურავად და დეტალურად გაიწერა ყველა ის ინფორმაცია, რასაც უნდა შეიცავდეს გამჭვირვალობის წლიური ანგარიში, მათ შორის, ფინანსურ ანგარიშგებას, ანგარიშს ფინანსური წლის განმავლობაში განხორციელებული ქმედებების შესახებ, ინფორმაციას აქტიური ლიცენზიების შესახებ, კოლექტიური მართვის ორგანიზაციის სამართლებრივი და მმართველობითი სტრუქტურის აღწერას სხვა.

კანონს ემატება 66[12] მუხლი, რომელიც აწესრიგებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის წევრობის წესებს, ასევე, გაიწერა, რომ წევრობის წესები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს. ხოლო წესდება უნდა ითვალისწინებდეს ეფექტურ და ქმედით მექანიზმებს, ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში წევრების თანაბარი მონაწილეობისთვის.

კანონს ემატება 66[13] და 66[14] მუხლები, რომელიც არეგულირებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებასა და საქმიანობის ზოგად წესებს. ასევე, განსაზღვრულია, რომ უფლებათა სხვადასხვა კატეგორიის მფლობელი ორგანიზაციის წევრები სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ სამართლიანად. განისაზღვრა სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშვალდებულება საერთო კრების წინაშე.

კანონს ემატება 66[15] მუხლი, რომელიც განსაზღრავს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების ვალდებულებას, ორგანიზაციას გაუძღვნენ მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სათანადო წესით. იმოქმედონ ორგანიზაციის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, გამჭვირვალე ადმინისტრაციული, ფინანსური პროცედურებისა და შიდა კონტროლის მექანიზმების გამოყენებით. ასევე, განისაზღვრა ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების არჩევის წესი და პერიოდულობა.

კანონს ემატება 66[16] მუხლი, რომლითაც კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ უფლების მფლობელთა ქონებრივ უფლებათა კოლექტიური მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობის, ასევე, მათ მიერ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებებისა და საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელ ორგანოდ განისაზღვრება საქპატენტი.

კანონს ემატება 66[17] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საქპატენტის უფლებამოსილებას კანონის 66[16] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოკვლევის ჩატარება დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაავალოს აუდიტორულ კომპანიას. ასევე,

განისაზღვრა კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ვალდებულება მოკვლევის მსვლელობისას ითანამშრომლოს აუდიტორთან.

კანონს ემატება 66[18] მუხლი, რომელიც არეგულირებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის აკრედიტაციის შეწყვეტის საკითხს მინიჭებული უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევებში.

კანონპროექტით, ასევე, გათვალისწინებულია კანონის 21-ე მუხლში ცვლილებები, აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რაც მიზნად ისახავს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/1/877 კონსტიტუციურ სარჩელზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში (კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია კანონპროექტის (გარდა პირველი მუხლისა) ძალაში შესვლა გამოქვეყნებისთანავე, ხოლო ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება 2023 წლის პირველი სექტემბრიდან, რადგან კანონის პროექტის სრულად ასამოქმედებლად საჭიროა მთელი რიგი შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. ამავდროულად, არ არის გათვალისიწნებული კანონისთვის უკუძალის მინიჭება.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ინიციატორების მიერ არ არის მოთხოვნილი კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონის პროექტით დგინდება ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობის განსახორციელებაზე აკრედიტაციის მიღების მიზნით

ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობისთვის გათვალისწინებული საფასურის გადახდის ვალდებულება. ამ საფასურს კანონის ამოქმედების შემდეგ დაადგენს საქართველოს მთავრობა.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
ნაწილზე;
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

შესაბამისი ორგანიზაცია და მომიჯნავე უფლებათა სუბიექტთა ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის უფლების მისაღებად ვალდებული იქნება გაიაროს აკრედიტაცია. კანონის პროექტით დგინდება ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობის განსახორციელებაზე აკრედიტაციის მიღების მიზნით ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობისთვის გათვალისწინებული საფასურის გადახდის ვალდებულება. ამ საფასურს კანონის ამოქმედების შემდეგ დაადგენს საქართველოს მთავრობა.

კანონი იქონიებს დადებით ზემოქმედებას ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტების უფლების მფლობელებზე, კერძოდ, ნაწრამოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტების გამოყენებისას შესაბამისი უფლების მფლობელი მიიღებს გამოყენების პროპორციულ და სამართლიან ჰონორარს.

ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაცია მიიღებს ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტების უფლების მფლობელების უფლებათა განკარგვისთვის მიიღებს შეგროვებული ჰონორარიდან საკომისიოს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის, ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტის ინიციატორის მოსაზრებით, კანონპროექტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს და მიზნად ისახავს ევრო პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/26/EU და 2019 წლის 17 აპრილის (EU) 2019/790 დირექტივებთან დაახლოებით ევროკავშირში არსებული კოლექტიური მართვის სისტემასთან ჰარმონიზებას.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი მომზადდა საქართველო პარლამენტის კულტურის კომიტეტთან, ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების

სააგენტოს (USAID) და ინტელექტუალური საკუთრების საკითხებით დაინტერესებულ სხვა მხარეებთან, მათ შორის ინტელექტულური საკუთრების ექსპერტებსა და კოლექტიური მართვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა;

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტი, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ბაია კვიციანი, ირაკლი მეზურნიშვილი, ელისო ბოლქვაძე, ბექა ოდიშარია, ქეთევან დუმბაძე.